ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესწყვეტისა და თანამდებობის დატოვების შესახებ

მომხს: გივი ხიჯაკაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

მომხს: გივი ხიჯაკაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 22

2020 წლის 7 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკა შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფერიძე სულ საკრებულოს 18 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

მაია ალავიძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (განყოფილების უფროსი),

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შსემსრულებელი (განყოფილების უფროსი),

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ზაალ ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“ - ს ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის** თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

3. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესწყვეტისა და თანამდებობის დატოვების შესახებ

მომხს: გივი ხიჯაკაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

მომხს: გივი ხიჯაკაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 18 წევრი

მომხრე 18
წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო მსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, განყოფილების უფროსის ნ. მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ** (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს სარეზერვო ფონდის რაოდენობის შესახებ და აღნიშნა პანდემიის დროს თუ იქნებოდა საშუალება მისი გამოყენების.

ნ. მაღლაკელიძემ - უპასუხა, რომ არსებული ინფორმაციით საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული თანხის გამოყენება შეიძლება მოხდეს პანდემიით დაავადებულ პირთა ტრანსპორტირებისათვის

ზ. ხაჩიძემ დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ 2020 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი ჯარიმების ოდენობის შესახებ.

ნ. მაღლაკელიძემ უპასუხა, რომ ეს თანხა შეადგენს 62 000 ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სმაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 18 წევრი
მომხრე 18
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის).
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 18 წევრი
მომხრე 18
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის უხუცესი წევრის გივი ხიჯაკაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესწყვეტისა და თანამდებობის დატოვების შესახებ** (თან ერთვის)
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე
საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის უხუცესი წევრის გივი ხიჯაკაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ** (თან ერთვის).
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულ თანამდებობაზე კანდიდატის დასახელების მიზნით მიმართა საკრებულოს წევრებს.
აზრი გამოთქვეს:
პ. გოგოლაძემ, ფრაქცია, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს", თავნჯდომარემ, რომელმაც საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა **პავლე კიკალიშვილი,**
სხვა ანდიდატი არ დასახელებულა
სხდომის თავმჯდომარემ ფარული კენჭის ყრის ჩატარება დაავალა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა ფარული კენჭისყრის პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებით.
შესვენების დამთავრების შემდეგ,

მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ფარული კენჭისყრის ჩატარების შემაჯამებელი ოქმი(თან ერთვის) ,რომლის მიხედვით პავლე კიკალიშვილი 18 ხმით, საკრებულოს სხდომაში მონაწილე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით არჩეული იქნა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.
საკრებულომ განკარგულება პავლე კიკალიშვილის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ მიიღო ცნობად (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**